

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი

დანართი 1

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #61, 0186
	პროგრამის განხორციელების ადგილი	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 61, V სართული
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	education@sou.edu.ge
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ხონელიძე ზურაბი, 597711080, zurabkhonelidze@gmail.com; რომეო გალდავა, 577170709, romeogaldava@gmail.com
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	ახალაძე ლია, 577170723, liaahaladze@yahoo.com, შინჯიაშვილი თამარი, 599506825, tamuna205@gmail.com

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, ქიმიკა, ბიოლოგია, ფიზიკა, გეოგრაფია, მათემატიკა, ინფორმატიკა
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	№8, 17.03.2016
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	25
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხილეთ დანართი

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2150	3	ისტორია	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
2	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2150	2	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
3	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
4	გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის

5	ფრანგული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	1	2250	1	ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
6	რუსული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
7	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
8	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
9	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
10	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2250	2	გეოგრაფია	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
11	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	2	2150	2	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
12	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	3	2200	3	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	წერიტი გამოცდა/ თავისუფალი ესე	სპეციალური პირობები არ არის
13							
14							
15							

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი



[Handwritten signature in blue ink]

ხელმოწერა

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები

პროგრამის მიზანი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 ECTS) მიზანია უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის მომზადება, პროგრამის მოქნილობა და შესაბამისობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მომზადდეს მაღალკვალიფიცირებული საბაზო და საშუალო კლასების მასწავლებლები, რომლებიც მოცემული პროგრამის საფუძველზე შეიძენენ უფროსი მასწავლებლის მახასიათებლებს და აღიჭურვებიან პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსის ცოდნის შედეგებით, რაც გულისხმობს მთელ რიგ კომპეტენციებს: ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს, რაც აუცილებელია მასწავლებლის მაღალი აკადემიური სტანდარტების მისაღწევად. პროგრამა ორიენტირებულია განათლების ეროვნულ პრიორიტეტებზე, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის დასრულების შემდეგ მომზადდება კრიტიკული აზროვნების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები, რომლებსაც საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ექნებათ მასწავლებლის სასერტიფიკაციო მოთხოვნების დასაძლევად.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მასწავლებლის მომზადების პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ უფროსი მასწავლებლის მახასიათებლებთან და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული მასწავლებლის სტატუსით გათვალისწინებულ შედეგებთან.

ცოდნა გაცნობიერება - გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას; აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ცოდნა; იცის საგნის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები. აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკული გაცნობიერება; იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები; იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი; იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; შეუძლია სპეციალურ მასწავლებლეთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა. შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრისა და მასზე რეაგირების უნარი; აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი;

დასკვნის უნარი - შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური პროფესიული დაგეგმვა და სწავლა - სწავლების პროცესის სტრატეგიის ჩამოყალიბება. შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი - შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან. მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან. შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი - აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერების და დამოუკიდებლად სწავლის უნარი; შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ღირებულებები - იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად; ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას. აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.